ალბათ, ყველას გაგიგიათ, მოგისმენიათ უფროსი თაობისგან, წაგიკითხავთ ან ფილმებში გინახავთ, როგორ დაინგრა ძალიან დიდი სახელმწიფო - საბჭოთა კავშირი. თქვენ, რა თქმა უნდა, გადმოცემით გეცოდინებათ ამის შესახებ, თუ რას უქადდა მსოფლიოს ეს კბილებამდე შეიარაღებული სახელმწიფო, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, თუკი ეს სახელმწიფო გადარჩებოდა, როგორ მოუტრიალდებოდა ეს მთელს მსოფლიოს?

თქვენ, საქართველოს მომავალ თაობას, გაქვთ შანსი, მონაწილეობა მიიღოთ ამ კონკურსში და პატარა წვლილი შეიტანოთ საბჭოეთის ნგრევის შესახებ საინტერესო და აქტუალური ინფორმაციის შეგროვებაში. სწორედ ამისთვისაა ეს კონკურსი გამიზნული. სწორედ თქვენმა თაობამ უნდა თქვას თავისი წონადი სიტყვა საბჭოეთის ეპოქის შეფასებასა და დასკვნების გამოტანაში. ჩვენ დიდი ინტერესით ველოდებით თქვენს აქტიურობას და ჩართულობას ამ პროცესში.

საინტერესოა, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები და ოჯახები საბჭოთა საქართველოში და მისი დანგრევის შემდგომ; როგორი იყო საბჭოთა სკოლის მოსწავლის ცხოვრება და როგორ შეიცვალა იგი საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ; როგორი იყო საზოგადოება და ფასეულობები ქალაქსა და სოფლად საბჭოთა საქართველოში და მისი დანგრევის შემდგომ. ასეთია ჩვენი წლევანდელი კონკურსის თემები.

საბჭოეთის დაცემის მომასწავებელი პირველი ბზარები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის „სოციალისტური ბანაკის“ ქვეყნებში გაჩნდა; მასობრივმა მშვიდობიანმა საპროტესტო გამოსვლებმა ხავერდოვანი რევოლუციების ჯაჭვით დაამხეს საბჭოეთის სატელიტი სოციალისტური რეჟიმები. მასობრივი სოციალური და ნაციონალური პროტესტის ტალღა საბჭოეთსაც მოედო. რეჟიმის მიერ მშვიდობიანი დემონსტრაციების სასტიკი დარბევების და ძალისმიერი კურსის დაბრუნების მცდელობის მიუხედავად, გამოფიტულმა სისტემამ ყველა შინაგანი რესურსი ამოწურა და „ხალხთა საპყრობილემ“ იმაზე სწრაფად დაასრულა არსებობა, ვიდრე ყველაზე ოპტიმისტი ექსპერტები პროგნოზირებდნენ.

საბჭოთა კავშირის დანგრევიდან მოყოლებული, 90-იანი წლებიდან, შეიცვალა სკოლის ფუნქციაც, მას ჩამოშორდა აღმზრდელობითი კომპონენტი და დარჩა მხოლოდ საგანმანათლებლო. ცვლილება მოხდა ისტორიის სწავლებაშიც: შეიქმნა ადგილობრივი ისტორიის სახელმძღვანელოები, დაფუძნებული ეროვნულ ნარატივზე. დაიმსხვრა საბჭოთა იდეოლოგიაც და მისი ადგილი დაიკავა ეროვნულმა ნარატივმა და იდეოლოგიამ.

საბჭოთა განათლების სისტემის ხერხემალი იყო საბჭოურ-კომუნისტურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომლის ძირითადი მიზანი გახლდათ საბჭოთა მოქალაქის აღზრდა და მეცნიერების საფუძვლების ზოგადი წარმოდგენა-ცოდნის მიცემა. საბჭოთა სკოლის მესვეურებს ამ მიზნის მიღწევაში ეხმარებოდა ერთპარტიული საბჭოთა სახელმწიფოს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგია და მისი ქოლგის ქვეშ მყოფი იდეოლოგიური ორგანიზაციები – კომკავშირი და პიონერია. მათი ძირითადი ფუნქცია და მოვალეობა იყო სკოლასთან ერთად აღეზარდათ საბჭოთა სახელმწიფოს ერთგული და მხურვალე მხარდამჭერი ახალგაზრდები.

დღეს, პოსტ-საბჭოთა სივრცისა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისათვის კომუნისტური ტოტალიტარიზმის დაცემის ეს მრგვალი თარიღი მნიშნელოვანი იმპულსია კრიტიკულად გავაანალიზოთ, სად ვართ 30 წლის შემდეგ, რამდენად დავშორდით და დავძლიეთ ტოტალიტარიზმი, როგორ ვუყვებით მომავალ თაობებს ამ გამოცდილებაზე, რა გამოწვევები მოგვყვება დღემდე.

საქართველოს გამოცდილება საბჭოეთის ნგრევის პროცესში ერთი მხრივ, ამ საერთო სურათის ნაწილია და ასევე თავისი სპეციფიკითაც გამოირჩევა. თაობა, რომლის თვალწინ და რომელთა ჩართულობით ტოტალიტარული სახელმწიფო დასრულდა და ჩვენი ქვეყანა ახალ განზომილებაში გადავიდა, ჯერაც აქტიურია და ამ მეხსიერებას დღემდე ინახავს, თუმცა ბევრი არ ინტერესდება, რომ საზოგადოებამ სწორედ მათი ხმები მოისმინოს - როგორ ცხოვრობდნენ ქალაქებში თუ რეგიონებში ჩვეულებრივი ადამიანები გვიან საბჭოეთში? როგორ იმოქმედა მათზე „პერესტროიკის“ სიგნალებმა? როგორ ცდილობდნენ საყოველთაო კრიზისში თავის გადარჩენას ცალკეული ადამიანები თუ თემები? რა მოტივებით და იდეებით ერთვებოდნენ მასობრივ საპროტესტო მოძრაობაში? როგორ წარმოედგინათ მომავალი? როგორი აღმოჩნდა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოქალაქეობა? რა როლი შეასრულა საბჭოთა განათლებამ ამ პროცესებში?

სკოლის, მოსწავლისა და თემის დონეზე ამ კითხვების დასმით კონკურსის მონაწილეები საქართველოს პერსპექტივით შეავსებენ ტოტალიტარიზმის დაძლევისა და მემკვიდრეობის გააზრების საერთო ევროპული ისტორიის სურათს.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 12-18 წლის ასაკის მოსწავლეებს.

საქართველოს მოსწავლეთათვის ადგილობრივი თემაა „30 წელი საბჭოეთის დასასრულიდან“, ქვეთემები კი: „ადამიანების და თემის მეხსიერება გვიან საბჭოეთსა და გარდამავალი პერიოდის საქართველოზე“, – სკოლის საშუალო საფეხურის მოსწავლეთათვის; „სკოლა და ცხოვრება“ გვიან საბჭოეთსა და გარდამავალი პერიოდის საქართველოში“ – სკოლის საბაზო საფეხურის მოსწავლეთათვის.

ისტორიის კონკურსის კრიტერიუმები სკოლის მოსწავლეთათვის:

ნაშრომი შეიძლება წარმოდგენილი იქნას როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. ჯგუფში შეიძლება იყოს მაქსიმუმ 3 მოსწავლე.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 12-14 წლის ასაკის მოსწავლეების შემთხვევაში:

თემა: „სკოლა და ცხოვრება“ გვიან საბჭოეთსა და გარდამავალი პერიოდის საქართველოში“.

რა სახით შეიძლება იყოს წარმოდგენილი ნაშრომი?

- ისტორიული მოთხრობა (1.000-1.500 სიტყვა);
- ფოტოკოლექცია (მაქსიმუმ 5 ფოტო);
- პოსტერი;

ფოტოკოლექციას, პოსტერს უნდა ერთოდეს აღწერა, მაქსიმუმ 400 სიტყვა.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 15-18 წლის ასაკის მოსწავლეების შემთხვევაში:

თემა: „ადამიანების და თემის მეხსიერება გვიან საბჭოეთსა და გარდამავალი პერიოდის საქართველოზე“.

რა სახით შეიძლება იყოს წარმოდგენილი ნაშრომი?

1. ესსე (2.000-3.000 სიტყვა);
2. ფოტოკოლექცია (მაქსიმუმ 5 ფოტო);
3. პოსტერი;
4. ანიმაცია/მცირე ვიდეო (5-10 წუთი).

ფოტოკოლექციას, პოსტერს და ანიმაცია/მცირეო ვიდეოს უნდა ერთოდეს აღწერა, მაქსიმუმ 600 სიტყვა.

რომელ ენაზე უნდა იყოს წარმოდგენილი ნაშრომი?

• კონკურსის ოფიციალური ენაა ქართული. თუმცა ნაშრომების გამოგზავნა შესაძლებელია ასევე სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე. ორგანიზატორები თავად უზრუნველყოფენ თარგმანს.

• **რომელი ვებ-გვერდებიდან შეიძლება საკონკურსო მასალების ჩამოტვირთვა?**

https://historycompetitions.ge
https://www.facebook.com/HCgeorgia3.0

• **როგორ და რა ფორმით შეიძლება ნაშრომის გამოგზავნა? რომელია ბოლო ვადა?**

• ნაშრომის გამოგზავნა შესაძლებელია ჩვენს ვებ-პორტალზე – https://historycompetitions.ge / ან ფოსტით მისამართზე: DVV International-ის საქართველოს ოფისი, ყიფშიძის ქუჩა N 20, ბინა. 3, 0179 თბილისი.

• ნაშრომების გამოგზავნის ბოლო ვადაა 31.05.2022, 24:00 საათი.

• გამარჯვებული ნაშრომები გამოქვეყნდება კრებულში.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში დაგვიკავშირდით პროექტის Facebook-გვერდზე:
https://www.facebook.com/HCgeorgia3.0

პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში მონაწილე გამოეთიშება კონკურსს. კონკურსის ორგანიზატორები უფლებას იტოვებენ, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის შემთხვევაში საჯაროდ გაავრცელონ ამის შესახებ ინფორმაცია!

მოსწავლის მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილი ნამუშევარი არ უნდა იყოს გამოქვეყნებული, ან რომელიმე სხვა ანალოგიურ კონკურსში წარდგენილი. ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში კონკურსის მონაწილე ავტომატურად მოიხსნება კონკურსიდან.

ისტორიის კონკურსი მოსწავლეთათვის უკვე მესამედ დაიწყო გერმანული კიორბერის ფონდისა (Körber-Stiftung) და სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის – DVV International-ის ეგიდითა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით. პროექტი ერთდროულად ხუთ ქვეყანაში: უკრაინაში, მოლდოვაში, ბელარუსში, საქართველოსა და სომხეთში ხორციელდება.

„უარყოფასა და ნოსტალგიას შორის: საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორია ოჯახებსა და ადგილობრივ თემებში“ – ასეთია წლევანდელი პროექტის საერთო თემა, რომლის ფარგლებშიც შეირჩევა თემები როგორც მასწავლებელთა ტრენინგების, ასევე მოსწავლეთა კონკურსებისათვის.

საქართველოში პროექტზე DVV International-თან ერთად ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია (GAHE) და საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია (SovLab) მუშაობენ. ადგილობრივ თემად შეირჩა „30 წელი საბჭოეთის დასასრულიდან“.

წლევანდელი კონკურსი ორი ასაკობრივი ჯგუფისთვის ჩატარდება – საბაზო (12-14 წ.) და საშუალო საფეხურის (15-18წ.) მოსწავლეებისათვის. საშუალო საფეხურის მოსწავლეთათვის ქვეთემად შეირჩა „ადამიანების და თემის მეხსიერება გვიან საბჭოეთსა და გარდამავალი პერიოდის საქართველოზე“, ხოლო საბაზო საფეხურის მოსწავლეთა ნაშრომები უნდა მიეძღვნას ქვეთემას: „სკოლა და ცხოვრება“ გვიან საბჭოეთსა და გარდამავალი პერიოდის საქართველოში“.

პროექტის საწყის ეტაპზე შეირჩა დაინტერესებულ ისტორიის პედაგოგთა ჯგუფი, რომლებიც ტრენინგების ციკლის გავლის შემდეგ დაინტერესებულ სკოლის მოსწავლეებთან ითანამშრომლებენ და ხელმძღვანელობას გაუწევენ შერჩეულ თემაზე საკონკურსო ნაშრომების მომზადებაში.

პროექტის პარტნიორები არიან:

კიორბერის ფონდი (Körber Stiftung);
ისტორიის მასწავლებელთა საქართველოს ასოციაცია (GAHE);
საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია (SovLab).

პროექტი ხორციელდება კავკასიის უნივერსიტეტის (CU) პატრონაჟით.

პროექტის განხორციელებას მხარს უჭერს
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ისტორიის კონკურსი სკოლის მოსწავლეთათვის 2021-2022

30 წელი საბჭოეთის დასასრულიდან